შპს „მშენ-ექსპერტი +“
A – ტიპის ინსპექტირების ორგანო
მის: ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23
ტელ.: (+995) 595-95-25-22
ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT- 343/05/25-I343/3
გაცემის თარიღი: “ 14 ” 05 2025 წელი
ინსპექტირების თარიღი: 01.05÷14.05.2025 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:
ქ.თბილისი, მელიქიშვილის გამზ.№39/41 (ს/კ 01.15.03.014.006 და ს/კ 01.15.03.014.001) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი

გამტკიცებ,
დირექტორი _____ ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „ზიონ ორანჟერია“, ს/კ 405504547 დირექტორი: შაი ცურ
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №-343/05/25-I343 (01.05.2025 წ) ხელშეკრულება №-C- 343/05/25-I343 (01.05.2025 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის შრომის უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ.თბილისი, მელიქიშვილის გამზ.№39/41 (ს/კ 01.15.03.014.006 და ს/კ 01.15.03.014.001) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტის ინსპექტირება

თბილისი
2025 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 13

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ირმა ღარიბაშვილი*** _____

ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები

I - განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია
3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
4. სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა
5. მშენებლობის უსაფრთხოება
6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II - ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

III - გამოყენებული ლიტერატურა

IV - სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

V - სამშენებლო გენგეგმა

დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

- ტოპო გეგმა
- სამშენებლო გენგეგმა
- პირველი სართულის გეგმა
- მეორე სართულის გეგმა
- სარდაფის სართულის გეგმა
- ფასადი დ-თ
- ფასადი თ-ა
- ფასადი ა-ე
- ფასადი ე-ა
- ფასადი 1-10

- ჭრილი 1
- ჭრილი 2
- აზომვითი ნახაზები
- ანტრესოლის გეგმა
- კალენდარული გეგმა

გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1. სამშენებლო ნორმები და წესები – (СНиП-ნაწილი 3);
2. ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება, №361);
3. ტექნიკური რეგლამენტი: „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477);
4. ტექნიკური რეგლამენტი - საქართველოს მთავობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41;
5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №71);
6. MEP-TP-G06.7- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა, აზომვითი ნახაზები და ტოპოგრაფიული გეგმა. პროექტის ავტორის განმარტებით, პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობების, ეზოს, მთლიანად ტერიტორიისა და მიმდებარე ქუჩების დათვალიერება დაშლის პირობების შესწავლითა და გაანალიზებით.

ობიექტი წარმოადგენს ქალაქ თბილისში, მელიქიშვილის ქუჩა №39-სა (ს/კ №01.15.03.014.006) და მელიქიშვილის ქუჩა №41-ში (ს/კ №01.15.03.014.001) მდებარე შენობებს. უბანი არის მჭიდროდ დასახლებული ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურით. სამშენებლო მოედნის სეისმურობა განსაზღვრულია 8 ბალით. 39-ში განთავსებულია 3 ერთეული შენობა-ნაგებობა №01/2; №02/1 და №03/1. №41-ში განთავსებულია 1 ერთეული შენობა №01/1. ყველა შენობა ექვემდებარება დაშლას.

პროექტში წარმოდგენილია დასაშლელი შენობების დახასიათება (მელიქიშვილის №39).

შენობა–ნაგებობა №02/1

პროექტის ავტორის განმარტებით, შენობა ერთსართულიანია, სარდაფით. ბრტყელი გადახურვით. გეგმაში რთული მოხაზულობით, გაბარიტული ზომებით 4,29X7,05 მ. მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 3,3 მეტრს. შენობა მზიდკედლიანია. კედლები აგურის წყობით. ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულს შუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით. სარდაფის კედლები აგურის მასალით. საძირკველი ქვის. განმარტებით ბარათში წარმოდგენილია დასაშლელი შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები:

– შენობის ფართი გარე კონტურით – 80,9 მ^2;
– სამშენებლო მოცულობა – 224,7 მ^3;
– სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშნულზე ზევით – 167,2 მ^3;
– სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშნულზე ქვევით – 57,5 მ^3;
– შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 5,2 მ;
– კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზევით – 3,3 მ;
– კონსტრუქციული სიმაღლე, 0,00 ნიშ. ქვევით – 1,9 მ.

შენობა–ნაგებობა 01/2

პროექტის ავტორის განმარტებით, შენობა ორსართულიანია, სარდაფით. ქანობიანი გადახურვით. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით. მაქსიმალური გაბარიტული ზომით 9,76X25,9 მ, სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 10,21 მ. შენობა

მზიდკედლიანია. კედლები აგურის წყობით. ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით. სარდაფის კედლები ამოყვანილია აგურის მასალით. საძირკველი ქვის მასალისაა.

განმარტებით ბარათში წარმოდგენილია დასაშლელი შენობის ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები:

- შენობის ფართი გარე კონტურით – 876,6 მ^2;
- სამშენებლო მოცულობა – 2 639,5 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშნულის ზევით – 2 237,2 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშ. ქვევით – 402,3 მ^3;
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 12,11 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზევით – 10,21 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ქვევით – 1,9 მ

შენობა–ნაგებობა 03/1

პროექტის ავტორის განმარტებით, შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო, ქანობიანი სახურავით. გეგმაში მართკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომით 3,8 x 2,5 მ, სიმაღლე 2,7 მ. შენობა მზიდკედლიანია. კედლები აგურის წყობით, ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით. სარდაფის კედლები აგებულია აგურის მასალით. საძირკველი ქვის.

განმარტებით ბარათში წარმოდგენილია დასაშლელი შენობის ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები:

- შენობის ფართი გარე კონტურით – 9,12 მ^2;
- სამშენებლო მოცულობა – 24,62 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშ. ზემოთ – 24,62 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშ. ქვემოთ – 0 მ;
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 2,7 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზემოთ – 2,7 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ქვემოთ – 0 მ.

პროექტში წარმოდგენილია დასაშლელი შენობების დახასიათება (მელიქიშვილის №41).

შენობა–ნაგებობა 01/1

პროექტის ავტორის განმარტებით, შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო. სახურავი ნაწილობრივ ბრტყელი და ქანობიანია. შენობის ნაწილს გააჩნია მანსარდული ანტრესოლი. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისა, გაბარიტული ზომით 13,0x21,6 მ. მაქსიმალური სიმაღლე მიწიდან 7,27 მ, ნაწილი 4,09 მ. საძირკველი

ლენტურია, ნაწილობრივ ქვა და ბეტონია გამოყენებული. კედლები აგურის წყობითაა ნაგები, ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით.

დასაშლელი შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგია:

– შენობის ფართი გარე კონტურით – 484,8 მ^2;
– სამშენებლო მოცულობა – 1 557,1 მ^3;
– სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშ. ზევით – 1 557,1 მ^3;
– სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშ. ქვევით – 0.
– შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 7,27 მ2;
– კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზევით – 7,27 მ;
– კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ქვევით – 0.

განმარტებით ბარათში განსაზღვრულია სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები. პროექტში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სადემონტაჟო ნაგებობების დაშლამდე განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.

შენობის დაშლა მოხდება სამონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობის საპირისპიროდ, ე.ი. ზემოდან ქვევით.

- სახურავის ბურულის მოხსნა.
- მოიხსნას კარ-ფანჯრები.
- ხელით და მექანიზაციით დაიშალოს სართულის გადახურვის ხის კონსტრუქციები. ხელით დაიშალოს მზიდი კედლები და ტიხრები შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.
- მექანიზირებული წესით და პნევმოჩაქუჩით დაიშალოს სართულის მონოლითური ბეტონის იატაკი და ლენტური საძირკვლები.
- ყველა ეტაპის სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს გატანილ იქნას სამშენებლო ნაგავი და დაშლილი კონსტრუქციები.

მომდევნო თავში წარმოდგენილია ინფორმაცია მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ.

შენობის დაშლა დამკვეთის მიერ განსაზღვრულია 5 თვის ვადაში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ქ. თბილისის ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა. იმის გამო, რომ სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, მშენებლობის ხანგრძლივობა დანიშნულია ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით. მათ შორის

10 დღე - მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. მოსამზადებელ პერიოდში მოეწყობა სამშენებლო ღობე და მოხდება დროებითი შენობა-ნაგებობის დადგმა, სადემონტაჟო სამუშაოებისათვის ფრონტის მომზადება.

მშენებლობის უსაფრთხოების თავში პროექტს ავტორის მიერ განსაზღვრულია შემდეგი საკითხები.

1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.
2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდა.
3. სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა СниП-Ш-4-80-თავის „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.
4. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება დაიშვება ინჟინრების ხელმძღვანელობით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ასეთი სახის სამუშაოების ჩატარების.
5. მუშა-მომსახურე პერსონალი დაიშვება სამუშაოდ მხოლოდ 18 წ. ასაკიდან.
6. სახიფათო ზონები აუცილებლად უნდა იყვნენ აღნიშნულნი და შემოღობილნი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
7. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებამდე და მათი მსვლელობის დროს შენობა და მისი ცალკეული ელემენტები უნდა იყვნენ შემოწმებულნი მდგრადობაზე, თუ ხდება აუცილებელი, სპეციალისტი, რომელიც თვალს ადევნებს სადემონტაჟო პროცესს, იღებს გადაწყვეტილებას მათი გამაგრების დროებითი საყრდენების მეშვეობით ან მიწის უკუჩაყრით და ა.შ.
8. სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელობის დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ამინდის მდგომარეობას, სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია, როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 10მ/წმ.
9. დასანგრევ შენობაში დაუშვებელია სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნაგებობების განთავსება. საყოფაცხოვრებო სათავსო უნდა განლაგდეს სამშენებლო ნაკვეთზე სადემონტაჟო შენობიდან მანძილზე არანაკლებ მისი 2 სიმაღლისა დაშლის მიმართულებით და არანაკლებ მისი 1.5 სიმაღლისა ყველა სხვა მიმართულების შემთხვევაში. მინიმალური მანძილი 10 მეტრია.
10. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შრომის სერტიფიცირებული უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ მოხდება საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციალური ზომების შემუშავება.

- ამწის თავზე ანაკრები კონსტრუქციების ჩაბმა–ჩახსნის პროცესში.
- შენობა–ნაგებობის დემონტაჟისთვის გამოყენებული მანქანები განლაგდება კონსტრუქციის ჩამონგრევის ზონის გარეთ.
- გამოყოფილი იქნება პასუხისმგებელი პირი ამწის ტექნიკური გამართულობის, უსაფრთხო ექსპლუატაციის და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

ეკოლოგია და ბუნების დაცვის თავში, პროექტს ავტორის მიერ წარმოდგენილია შემდეგი საკითხები.

ა. სამუშაოების დაწყება ქ. თბილისის არქიტექტურული სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა განხორციელდება ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე, მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდება უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანის ძარებში.

დ. სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია დასუფთავდება სველი მეთოდით, ხოლო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდება სახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით.

პროექტში გაწერილია საქართველოში მოქმედი ნორმები და წესები, რომელიც უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელებისას:

- საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.
- საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ (ქ. თბილისი).
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/6 ბრძანება „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“. (ქ. თბილისი. ცვლილება 01-21/6).

– საქართველოს მთავრობის 429 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“).
– საქართველოს მთავრობის დადგენილება 422. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი).
– საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 127/6 (2003 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი) „საქართველოს ტერიტორიის სანიტარიული დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“.
– საქართველოს მთავრობის 370 დადგენილება (2015 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
–საქართველოს მთავრობის დადგენ რეგლამენტი დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის 457 დადგენილება (2022 წლის 16 სექტემბერი ქ. თბილისი) „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნები“. (დადგენილების ამოქმედების ვადა 2023 წლია 1 იანვარი).
– საქართველოს მთავრობის 590 დადგენილება (2022 წლის თბილისი) “ტექნიკური რეგლამენტის სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე.

„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი. დადგენილება 361. (27.05. 2014 წ.).

– საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის 477 დადგენილება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“.

მშენებლობის ორგანიზების მომდევნო თავში მოცემულია სამუშაოების საწარმოებლად საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- მოეწყოს ფარდა ან/და სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.
- იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით გადატანა და ჩამოყრა.
- სასურველია სამშენებლო ნაგვის პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები ჩამოშვებული იქნება ამწის საშუალებით. მოხდება მათი ავტომანქანების

ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე მიტანა შესაბამისი სამსახურებთან შეთანხმების შემდეგ.

- დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. ასევე, დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა. ინვენტარული საყოფაცხოვრებო ვაგონეტიდან საკანალიზაციო ჩადინება უნდა მოეწყოს უშუალოდ საქალაქო საკანალიზაციო ჭებში.
- გენგეგმაზე მათ მოსაწყობად მითითებული ადგილები შესაძლებელია შეიცვალოს საკანალიზაციო ჭების სიახლოვეს მათი განთავსებით ელექტრო საწვეველას მოქმედების სახიფათო ზონების საზღვრების გათვალისწინებით. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდირებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამება.

პროექტის გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილია შემდეგი ნახაზები:

- ტოპო გეგმა
- სამშენებლო გენგეგმა
- პირველი სართულის გეგმა
- მეორე სართულის გეგმა
- სარდაფის სართულის გეგმა
-ფასადი დ-თ
- ფასადი თ-ა
-ფასადი ა-ე
-ფასადი ე-ა
- ფასადი 1-10
- ჭრილი 1
- ჭრილი 2
-აზომვითი ნახაზები
- ანტრესოლის გეგმა
-კალენდარული გეგმა

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ გაიცა შუალედური ინსპექტირების ანგარიში შემდეგი შენიშვნებით:

- დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში არ არის წინასწარი მსჯელობა, მოახდენს თუ არა გავლენას დემონტაჟი მომიჯნავე შენობებზე. აღნიშნული საკითხები აღწერილი და მოცემული უნდა იქნას თქვენს მიერ წარმოდგენილ დაშლის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტში.
- **ექსპერტის მითითება:**

  გონივრული ეჭვის შემთხვევაში, თუ სარეკონსტრუქციო შენობა შეიცავს აზბესტის მასალებს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალური უსაფრთხოების ზომები.

ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები გათვალისწინებული იქნა ავტორების მიერ და წარმოდგენილია შენიშვნების მიხედვით გაკორექტირებული პროექტი. წარმოდგენილი პროექტის მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია თან ერთვის მოცემულ დასკვნას ელ. ვერსიით.

დასკვნა

ქ.თბილისი, მელიქიშვილის გამზ.№37/41 (ს/კ 01.15.03.014.006 და ს/კ 01.15.03.014.001) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი, რომელიც დაკორექტირდა ინსპექტორის შენიშვნების მიხედვით, შესაბამისობაშია მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:
ინსპექტორი: /ი. ღარიბაშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:
ტექნიკური მენეჯერი,
პროფესორი: /მ. წიქარიშვილი/

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი/

ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა N 39 და N 41-ში

არსებული შენობა-ნაგებობების დაშლა

ს/კ. N 01. 15. 03. 014. 006 და ს/კ. N 01. 15. 03. 014. 001

სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის

განმარტებითი ბარათი

შეასრულა: /ბ.დგებუაძე/

შპს. ,,ბდ ჯგუფი,,

2024 წ

შინაარსი

I - განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია
3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
4. სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა
5. მშენებლობის უსაფრთხოება
6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II - ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

III - გამოყენებული ლიტერატურა

IV - სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

V - სამშენებლო გენგეგმა

I - განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა. სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- აზომვითი ნახაზები;
- ტოპოგრაფიული გეგმა;

ბ. პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობების, ეზოს, მთლიანად ტერიტორიისა და მიმდებარე ქუჩების დათვალიერება დაშლის პირობების შესწავლითა და გაანალიზებით.

გ. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია.

ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქუჩა N39, ს/კ N 01.15.03.014.006 და მელიქიშვილის ქუჩა N41, ს/კ N 01.15.03.014.001. შენობები მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ უბანში ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურით. სამშენებლო მოედნის სეისმურობა განისაზღვრება 8 ბალით.

ამჟამად N39-ში განთავსებულია 3 ერთეული შენობა-ნაგებობა #01/2; #02/1 და #03/1. N41-ში განთავსებულია 1 ერთეული შენობა #01/1. დამკვეთის ინფორმაციით ყველა შენობა ექვემდებარება დაშლას.

II დასაშლელი შენობების დახასიათება.

მელიქიშვილის #39

შენობა–ნაგებობა N 02/1

შენობა ერთსართულიანია, სარდაფით. ბრტყელი გადახურვით. გეგმაში რთული მოხაზულობით. მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 4,29 X 7,05 მ. მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 3,3 მეტრს. შენობა მზიდკედლიანია. კედლები აგურის წყობით. ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და

სართულსშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით. სარდაფის კედლები აგურის მასალით. საძირკველი ქვის.

დასაშლელი შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირია;

- შენობის ფართი გარე კონტურით – 80,9 მ^2;
- სამშენებლო მოცულობა – 224,7 მ^3;
- სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშნულზე ზევით – 167,2 მ^3;
- სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშნულზე ქვევით – 57,5 მ^3;
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 5,2 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზევით – 3,3 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე, 0,00 ნიშ. ქვევით – 1,9 მ.

შენობა–ნაგებობა N 01/2

შენობა ორსართულიანის, სარდაფით. ქანობიანი გადახურვით. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით. მაქსიმალური გაბარიტული ზომით 9,76 X 25,9 მ, სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 10,21 მ. შენობა მზიდკედლიანია. კედლები აგურის წყობით. ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულსშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით. სარდაფის კედლები აგურის მასალით. საძირკველი ქვის.

დასაშლელი შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირია.

- შენობის ფართი გარე კონტურით – 876,6 მ^2;
- სამშენებლო მოცულობა – 2 639,5 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშნულის ზევით – 2 237,2 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშ. ქვევით – 402,3 მ^3;
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 12,11 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზევით – 10,21 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ქვევით – 1,9 მ

შენობა–ნაგებობა N 03/1

შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო. ქანობიანი სახურავით. გეგმაში მართკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომით 3,8 x 2,5 მ, სიმაღლე 2,7 მ. შენობა მზიდკედლიანია. კედლები აგურის წყობით. ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულსშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით. სარდაფის კედლები აგურის მასალით. საძირკველი ქვის.

დასაშლელი შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირია:

- შენობის ფართი გარე კონტურით – 9,12 მ^2;
- სამშენებლო მოცულობა – 24,62 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშ. ზემოთ – 24,62 მ^3;
- სამშ. მოცულობა 0,00 ნიშ. ქვემოთ – 0
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 2,7 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზემოთ – 2,7 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ქვემოთ – 0.

მელიქიშვილის #41

შენობა–ნაგებობა N 01/1

შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო. სახურავი ნაწილობრივ ბრტყელი და ქანობიანი. შენობის ნაწილს გააჩნია მანსარდული ანტრესოლი. გეგმაში მართკუთხა ფორმისა, გაბარიტული ზომით 13,0 x 21,6 მ. მაქსიმალური სიმაღლე მიწიდან 7,27 მ. ნაწილი 4,09 მ. საძირკველი ლენტური. ნაწილობრივ ქვა და ბეტონი. კედლები აგურის წყობით. ხის კარ–ფანჯრებით. სასხვენო და სართულსშუა გადახურვა შესრულებულია ხის მასალით.

დასაშლელი შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირია:

- შენობის ფართი გარე კონტურით – 484,8 მ^2;
- სამშენებლო მოცულობა – 1 557,1 მ^3;
- სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშ. ზევით – 1 557,1 მ^3;
- სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშ. ქვევით – 0.
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 7,27 მ^2;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ზევით – 7,27 მ;
- კონსტრუქციული სიმაღლე 0,00 ნიშ. ქვევით – 0.

3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

სადემონტაჟო ნაგებობების დაშლამდე აუცილებელია არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.
შენობის დაშლა ხდება სამონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობის საპირისპიროდ, ე.ი. ზემოდან ქვევით.

- სახურავის ბურულის მოხსნა.
- მოიხსნას კარ-ფანჯრები.
- ხელით და მექანიზაციით დაიშალოს სართულის გადახურვის ხის კონსტრუქციები..

- ხელით დაიშალოს მზიდი კედლები და ტიხრები შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.
- მექანიზირებული წესით და პნევმოჩაქუჩით დაიშალოს სართულის მონოლითური ბეტონის იატაკი და ლენტური საძირკვლები.
- ყველა ეტაპის სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს გატანილ იქნას სამშენებლო ნაგავი და დაშლილი კონსტრუქციები.
- **შენობა-ნაგებობების დაშლის სამუშაოები ხორციელდება ხელით, რთა გამოირიცხოს სამშენებლო ტექნიკის მხრიდან ვიბრაციები. დეტალურად იქნა შესწავლილი გარემო-ინფრასტრუქტურა, მომიჯნავე შენობები, რომლებიც დასაშლელი ობიექტიდან მოცილებულია. აქედან გამომდინარე მომიჯნავე შენობებზე დაშლის სამუშაოები არ იმოქმედებს, ვინაიდან:**
- **დასავლეთის მხრიდან უახლოესი შენობა მოცილებულია 4,5 მ-ით.**
- **აღმოსავლეთის მხრიდან შენობა ერთსართულიანია სარდაფით, მისი კონსტრუქცია წარმოადგენს რკ.ბ. კარკასს, ხოლო საძირკველი მონოლითურ რკ.ბ. ფილას.**

მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

იმის გამო, რომ სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, მშენებლობის ხანგრძლივობას ვნიშნავთ ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით - 5 (ხუთი) თვე. მათ შორის 10 დღე - მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოეწყოს სამშენებლო ღობე და მოხდეს დროებითი შენობა-ნაგებობის დადგმა, სადემონტაჟო სამუშაოებისათვის ფრონტის მომზადება.

4. მშენებლობის უსაფრთხოება

1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.
2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.
3. სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა СниП-Ш-4-80 თავის „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.
4. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება დაიშვება ინჟინრების ხელმძღვანელობით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ასეთი სახის სამუშაოების ჩატარების.
5. მუშა-მომსახურე პერსონალი დაიშვება სამუშაოდ მხოლოდ 18 წ. ასაკიდან.
6. სახიფათო ზონები აუცილებლად უნდა იყვნენ აღნიშნულნი და შემოღობილნი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
7. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებამდე და მათი მსვლელობის დროს შენობა და მისი ცალკეული ელემენტები უნდა იყვნენ შემოწმებულნი

მდგრადობაზე, თუ ხდება აუცილებელი, სპეციალისტი, რომელიც თვალს ადევნებს სადემონტაჟო პროცესს, იღებს გადაწყვეტილებას მათი გამაგრების დროებითი საყრდენების მეშვეობით ან მიწის უკუჩაყრით და ა.შ.

8. სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელოვის დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ამინდის მდგომარეობას, სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია, როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 10მ/წმ.
9. დასანგრევ შენობაში დაუშვებელია სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნაგებობების განთავსება. საყოფაცხოვრებო სათავსო უნდა განლაგდეს სამშენებლო ნაკვეთზე სადემონტაჟო შენობიდან მანძილზე არანაკლებ მისი 2 სიმაღლისა დაშლის მიმართულებით და არანაკლებ მისი 1.5 სიმაღლისა ყველა სხვა მიმართულების შემთხვევაში. მინიმალური მანძილი 10 მეტრია.
10. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შრომის სერტიფიცირებული უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ მოხდება საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციალური ზომების შემუშავება.

– ამწის თავზე ანაკრები კონსტრუქციების ჩაბმა–ჩახსნის პროცესში.

- შენობა–ნაგებობის დემონტაჟისთვის გამოყენებული მანქანები განლაგდება კონსტრუქციის ჩამონგრევის ზონის გარეთ.
- გამოყოფილი იქნება პასუხისმგებელი პირი ამწის ტექნიკური გამართულობის, უსაფრთხო ექსპლუატაციის და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

5. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

ა. სამუშაოების დაწყება ქ. თბილისის არქიტექტურული სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანის ძარებში.

დ. სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოიწყას, ხოლო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდეს სახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით.

II - ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

N	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი
1	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	4
2	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპლ.	2
3	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
4	სანგრევი ჩაქუჩი	-	2
5	ავტოგენური საჭრელი აპარატი	კომპლ.	1
6	თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადასხვა	1
8	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლ.	10
9	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ტპ-66 ე	1
10	ვიბროსამსხვრევი	ც-47614	1
11	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
12	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკა	-	4
13	ხარჩოები ანაკრები	კომპლ.	30
14	ავტო ამწე - ტვირტამწეობით 3 ტონა		1
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობა შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვეთი.			

III გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები საქართველოში მოქმედი ნორმები და წესები, რომელიც უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელებისას

– საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

– საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“.

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „სამუშაო დროის აღრიცსვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ (ქ თბილისი).

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ძრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-15/ნ ბრძანება „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“. (ქ. თბილისი. ცვლილება 01-21/6).

– საქართველოს მთავრობის N429 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“).

– საქართველოს მთავრობის დადგენილება N422. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი).

– საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N127/6 (2003 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი) „საქართველოს ტერიტორიის სანიტარიული დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“.

